კითხვები: რამდენი ძმა იყო? რას აკეთებდა უფროსი ძმა გაყრის შემდეგ? რატომ? რას აკეთებდა უმცროსი ძმა? რატომ? როგორი ძმები იყვნენ ისინი?

გაიყარნენ — разделились, разошлись (они)

ორმო — яма

ქალო — гумно

მომგებელი — зд.: работающий (на семью)

მარტოხელა — одинокий; одиночка

სარჩო — пропитание

საშოვნელი — то, что надо раздобыть, найти

წვრილშვილი(ანი) — многодетный

შვილი

წყაროსთან სამი ქალი იდგა წყლის ასაღებად. იქვე ქვაზე გზად მიმავალი მოხუცი კაცი ჩამოჯდა.

ერთი ქალი ეუბნება მეორეს:

— ჩემი ვაჟი მარდი და ძალ-ღონით სავსე ყმაწვილია, მისი მომრევი არავენ არის.

— ჩემი ვაჟი კი ბულბულივით მღერის, არავის ისეთი ხმა არა აქვს, — ამბობს მეორე.

მესამე ქალი ღუმდა.

— შენ რატომ არაფერს იტყვი შენს ვაჟზე? — შეეკითხნენ მას მეზობელი ქალები.

— რა უნდა ვთქვა, — უპასუხა მან, — იგი არაფრით არ განირჩევა სხვებისაგან.

ქალებმა კოკები აავსეს და წავიდნენ. მოხუციც იმათი გზით წავიდა. მიდიან ქალები, მალიმალ ისვენებენ, ხელები მოექანცათ.

შეცრად გზაზე სამი ყმაწვილი გამოხტა, სირბილით წამოვიდნენ, ერთი ყირამალა გადადიოდა. ქალები მას თვალს ვერ აშორებდნენ, მზერით ტკბებოდნენ.

მეორე ყმაწვილი მღეროდა ბულბულივით. ყველა მას უსმენდა, მესამემ კი დედასთან მიიბრინა, ჩამოართვა კოკები და წაიღო, ბოლოს ქალები მიუბრუნდნენ მოხუცს და ჰკითხეს:

— როგორ მოგეწონა ჩვენი ვაჟიშვილები?

— მერე სად არიან ისინი? — შეეკითხვივე უპასუხა მოხუცმა, — მე მხოლოდ ერთი შვილი დავინახე.

კითხვები: რამდენი ქალი იდგა წყაროსთან? ვინ ჩამოჯდა იქვე ქვაზე? რას ეუბნებოდნენ ქალები ერთმანეთს? როგორ მოიქცა თითოეული ქალის შვილი? რა პასუხი გასცა მოხუცმა კაცმა ქალების შეკითხვაზე მათი შვილების მოქცევის შესახებ?

წყარო — источник; родник

მარდი — быстрый; проворный

ძალ-ღონე — сила

ბულბულივით — как соловей (соловьем заливаются)

ღუმდა — молчал (-а) (он, она)

კოკა — большой кувшин (для воды)

მალიმალ — часто

ყირამალა — кувыркoм; кувырка-ясь

შეკითხვივე — также спрашивая.

კუ და მორიელი

კუ და მორიელი დაძმობილდნენ. გაუდგნენ გზას. გასავალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ შეეძლო. კუმ უთხრა.

— ზურგზე შემაჯექ, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგზე. კუ რომ წყალში შეცურდა, მორიელმა კბენა დაუწყო.

კუმ ჰკითხა: — ძმაო, რას შერებო?

მორიელმა უპასუხა: — რა ვქნა, ძმობილო, არც მე მინდა, მაგრამ ისეთი გვარისა ვარ, რომ მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინო.

კუმ დაიყურა უმელავა, მორიელი წყალს მისცა და მიამახა:

— ძმაო, არც მე მინდა, მაგრამ ჩემი გვარი თუ დაშხამულ ტანს არ გაიბანს, გასივდება და მოკვდებაო.

კითხვები: რა შესთავაზა კუმ მორიელს, როდესაც ისინი წყლის პირას მიადგნენ? რა დაუწყო მორიელმა კუს, როდესაც წყალში შეცურდნენ? რა ქნა კუმ? რა აზრი აქვს ამ ივავს?

კუ — черепаха

მორიელი — скорпион

დაძმობილდნენ — побратились;

подружились (они)

გაუდგნენ — пустились; пошли; отправились (они)

გასავალი, გასასვლელი — то, что надо перейти, переехать

დალონდა — опечалился; загруз-
тил; стал грустным (он)
შხამიანი — ядовитый

დაიყურეუმელავა — нырнул (он)
დაშხამული — пораженный ядом,
ужаленный.

ვირის ზეჟა

მარილით დატვირთული ვირი მდინარეში გადიოდა, წაიფორხილა და წყალში ჩაწვა. მარილი დადნა. საპალნე ბევრად შემსუბუქდა და ვირი აღვილად ადგა.

— ეს კარგია, ჩემმა მზემ, — იფიქრა ვირმა: — წყალმა კიდევ მაგრილა და საპალნეც შემიმსუბუქა. შემდეგისათვის ამას კარგად დავიხსომებო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ვირს ღრუბელი აჰკიდეს და იმავე გზაზე წაიყვანეს. შუა წყალში რომ შევიდა, ვირი განზრახ წაიქცა. ეგონა — ტვირთი ახლაც შემიმსუბუქდებო, მაგრამ ღრუბელი წყლით გაიყვინთა, ტვირთი საშინლად დამძიმდა, უგუნური ვირი ველარ წამოდგა და დაიხრჩო.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი: სად გადიოდა მარილით დატვირთული ვირი? რით შეუმსუბუქდა მას ტვირთი? რა იფიქრა ვირმა? რა აჰკიდეს მთრეღ ვირს? რა მოუვიდა ვირს, როდესაც იგი ღრუბლით დატვირთული წყალში განზრახ წაიქცა?

წაიფორხილა — споткнулся (он)
ჩაწვა — лег (он). ზდ.: упал (в воду)
დადნა — растаял; растворился
საპალნე — выюк; ноша
ჩემმა მზემ — переводится как: ей богу
ღრუბელი — облако; туча. ზდ.: губка
აკიდება — взваливать; навьючивание (кг. -н.); навьючивать

განზრახ — нарочно; намеренно; с умыслом; умышленно
ტვირთი — ноша
გაჟღენთა — пропитывание; насыщение, გაიყვინთა — пропитался (-ась)
უგუნური — безрассудный; неблагоразумный
დაიხრჩო — утонул.

სოფლის გაზენაგელნი

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დამძობილდნენ: სოფელი ავაშენოთო, ძაღლმა უთხრა: როგორ ავაშენოთო? მამალმა უთხრა: — შენ იყეფე, მე ვიყვილებ და აშენდებო.

წავიდნენ ტყეში. ძაღლმა ყეფა დაიწყო და დაეძინა, მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო.

მელას ხმა მოესმა. მოვიდა, მამალს ჰკითხა: — მანდ რას აკეთებო? მამალმა უთხრა: — სოფელს ვაშენებთო. მელამ უთხრა: — ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო. მამალმა უთხრა: — მამასახლისი მანდა წევს, გააღვიძე, ის მოგიზომავსო.

მელა მამლის ნდომით შეცდა და ველარა გაიგო რა, ძაღლთან მივიდა და დაუძახა: — მამასახლისო, ადე, სახლის ალაგი მინდაო. წამოდგა ძაღლი, მელას გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა.

მელა წამოვიდა ნათრევი, გორაზე წამოდგა და დაუძახა: — მე ხომ ჩემი ჰკუთისა დამემართა და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელს ააშენებთ, ამასაც შევიტყობთო!

კ ი თ ხ ვ ე ბ ი: რას აშენებდნენ დამძობილებული ძაღლი და მამალი? რა დაიწყეს ძაღლმა და მამალმა, როდესაც ტყეში შევიდნენ? ვის მოესმა მათი ხმა? რა ჰკითხა მელამ მამალს? რა უპასუხა მამალმა? რა მოუვიდა მელას?

დამძობილდნენ — побратались (они)
იყეფე — ზდ.: будешь лаять, лай (пов. накл.)
ვიყვილებ — буду кукарекать
რას აკეთებო — что делаешь?
მომიზომე — отмерь мне

მამასახლისი — старшина; староста
ნდომით — желанием
შეცდა — ошибся; (он пов. накл.)
ადე (ადექი) — встань; вставай
დაჩეჩქვა — толочь, ზდ. набить
ნათრევი — ზდ. избитая

ვეფხვი და კატა

სოფლის განაპირას ერთი გლეხი მიწას ხნავდა. კატაც თან წამოყოლოდა; იგი ტყის ნაპირას გასულიყო და პეპლებზე ნადირობდა. ამ დროს ვეფხვმა ჩამოირბინა, კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა, ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა: — შენ, როგორც გეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ, მაგრამ ასე რამ დავლიო?

კატამ უპასუხა: — ჰე, დიდებულო ბატონო, თქვენ არ იცით, რა დღეში ვართ კაცის ხელშიო.

— მერე ვინ არის ის კაცი, რომ აგრედ დაუჩაგრებარო? მაჩვენე შენი დამჩაგრელი და შენს მაგივრად იმას მე გავუსწორებო, — უთხრა ვეფხვმა.

კატა გაუძღვა ვეფხვს და დაინახა მას გლეხი კაცი, რომელიც გუთანს მისდევდა. ვეფხვი მივიდა კაცთან და საყვედურის კილოთი უთხრა:

— შენ ეს ჩემი მოდგმა რად დაგიჩაგრავს, რომ ტანი ველარ უქნიათ. ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცოდავმაო, ამის გულისათვის მე შენ უნდა შეგებრძოლოო.

— ბატონი ხარო, — უპასუხა გლეხმა. — მე ძალა სახლში დამრჩა, ჩავალ, ამოვიტან და მაშინ შევიბრძოლოო.

— კარგიო, — სთქვა ვეფხვმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო.

— რომ მომატყუო, წახვიდე სადმე და მე ტყუილად სოფელში ჩასვლა შემრჩესო? — უთხრა გლეხმა; აი ამ ხეზე თოკით მიგაბამ, სოფელში ჩავიბრუნ, ძალას ამოვიტან და ჩვენი ძალ-ღონე მაშინ გავშინჯოთო.

— კარგიო, — უპასუხა ვეფხვმა. გლეხმა მაგარი თოკით მიიბა ვეფხვი ხეზე, თვითონ იქვე ტყეში კარგი სახრე გამოჭრა, მივიდა ვეფხვთან და უთხრა: — აი ჩემი ძალაო, და ისეთი გადაუსუსხსა სახრით, რომ გვერდები მთლად აუწვა. სიმწრით ვეფხვი სულ მაღლა-მაღლა ხტოდა. როდესაც გლეხმა ცემით კარგად მიბნინდა, აუშვა ვეფხვი და უთხრა: ასლა წადი და, სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო.

ვეფხვი ლასლასით გაუდგა გზას, — უკანა ფეხებს ძლივს მიათრევდა, ამ დროს მან კატას თვალი მოჰკრა, ამოიოხრა და კვნესით უთხრა:

— ბარაქალა, ჩემო ძამიავ, რომ მაგისთანა მხეცის ხელში კიდევ მტანი შეგრჩენიაო.

კითხვები: სად ხნავდა გლეხი მიწას? ვინ წამოყოლოდა სახლიდან? რას აკეთებდა კატა ტყის პირას? ვინ დაინახა კატა? რა ჰკითხა ვეფხვმა კატას? რა უსაყვედურა ვეფხვმა გლეხს? რა ხერხს მიმართა გლეხმა? რა მოუვიდა ვეფხვს?

სახტად დარჩა — опешил; изумился (он)

გაიკვირვა — удивился; изумился (он)

ჩვენი ჯიშისა ხარ — (ты) нашей породы; из нашей породы

რამ დაგლია — зд.: почему ты такая маленькая

დაუჩაგრიხარ — притеснил, обидел (он тебя)

დამჩაგვრელი — угнетатель; притеснитель

გავუსწორდები — расправлюсь с ним

საყვედურის კილოთი — с упрямком; с укором

ჩემი მოდგმა — мой род; мое племя

ტანი ველარ უქნია — не удался ростом

სახრე — прут

გადაუსუსხა — ударил крепко, с силой; хлестнул (он его)

აეწვა — жгло (от сильной боли); больно стало (ему)

სიმწრით — аж: от сильной боли хტოდა — прыгал (он)

მიბნინდა — аж: истошил; избил; подверг пытке (он)

სადაც შენი დაიკვეხო — где о тебе скажешь; будешь хвастаться

ლასლასი — ходить с трудом, еле передвигая ноги

ამოიოხრა — тяжело вздохнул (он)

კვნესით — со стоном

ბარაქალა — браво; молодец; молодчина

ჩემო ძამიავ — (ты) мой братец.

შეგრჩენია — осталось у тебя; сохранил.

ბედუინი და მისი ცხენი

ერთ ბედუინს შესანიშნავი ცხენი ჰყავდა, რომელიც მეტისმეტად უყვარდა. ორი დღე დაუსვენებლივ შეეძლო ჰენება, თავისი პატრონისა და მისი ცოლ-შვილის სიტყვები კარგად ესმოდა.

ერთხელ ბედუინი თავის საუცხოო ცხენიანად ტყვედ ჩაიგდეს მტრებმა, თოკებით შეკრეს და ქალაქში გაიყოლიეს, რომ იქ საჯაროდ დაეხვრიტათ.

ქალაქი შორს იყო და ბედუინის მტრებს ღამის გათევა უდაბნოში მოუხდათ. მათ ცეცხლი დაანთეს და ვანშმის მზადებას შეუდგნენ. ტყვე ბედუინი, თოკით შეკრული, ქვიშაზე ეგდო და მწარე ფიქრებს მისცემოდა. იცოდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა; ველარ ნახავდა ვერც ოჯახს, ვერც ამხანაგებს, ვერც თავის საყვარელ უდაბნოს.

როდესაც ყველამ დაიძინა, ბედუინს შორიდან ნაცნობი ჭიხვინი მოესმა. იგი სმენად გადაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ნელა დაუსტვინა, ჭიხვინი უფრო ახლოს განმეორდა. ერთი წამის შემდეგ აშკარად გაარჩია, რომ მისი ცხენი მძიმე ნახტომებით უახლოვდებოდა. თურმე წინა ფეხები თოკით ჰქონდა შეკრული.

ვარსკვლავთა შუქზე კარგად მოჩანდა, რომ ცხენი პატრონს მიუახლოვდა და დიდრონი ჰკვიანი თვალებით დააცქერდა. ბედუინმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ჩემო ერთგულო მეგობარო, დაე, მე მტრის ხელით დავიღუპო, შენ მაინც იყავი თავისუფალი! ვიცი, რომ სამშობლოს კარგებს ადვილად მიაგნებ. დღეიდან ჩემმა შვილებმა გიპატრონონო.

მერე თავი მალლა ასწია და ცხენის ბორკილს კბილებით ღრღნა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ თოკი გაწყდა და ცხენი განთავისუფლდა.

სიხარულით მან ფაფარი შეისწორა და ოდნავ ჩაიხვიჩვინა.

— მშვიდობით, ბედნიერი იყავ! — წამოთქვა არაბმა და ცხენს ისეთი სიტყვა უთხრა, რომელიც მართლ მას და მის მერანს ესმოდა.

წინათ, როდესაც ამ სიტყვას ეტყოდა ხოლმე, ცხენი ისარბით მიქროდა ნაცნობი კარვებისაკენ, ახლა კი თითქოს ყოყმანობდა, რალც გარდა

ურკვეველ მდგომარეობაში იყო. შემდეგ უცებ კბილები დაავლო თოკს, რომლითაც მისი პატრონი იყო შეკრული, ასწია მაღლა და გაკურცლა. უღაბნოს სამარისებურ სიჩუმეში დიდხანს მოისმოდა მისი ფეხის ხმა. ხალხი, რომელსაც ტყვესთან ახლოს ეძინა, ხმაურობაზე წამოიშალა. ატეხეს ერთი აურზაური, მოასხდნენ ცხენებს და გამოუდგნენ. მაგრამ განა არაბეთში მოიძებნებოდა ისეთი ცხენი, რომ ამ დაუფასებელ მერანს დასწოდა?!

იმ ღამესაც და მეორე ღამესაც ბედუინის ცხენი დაუსვენებლივ მიჰროდა და საღამოს უამს კარვებს მიაღწია. დაქანტულმა ცხენმა გრძნობადაკარგული პატრონი კარვის შესავალთან დააწვინა, თვითონ კი იქვე დაეცა და მოკვდა.

ხშირად რამდენიმე ბედუინი რომ ერთად ცეცხლის გარშემო შეიკრიბება, ერთი მათგანი სიმებს ააუღერებს და სიმღერას იწყებს საუცხოო არაბული ცხენის საგმირო ამბის შესახებ.

ნ. ვაგნერის მიხედვით

კითხვები: როგორი ცხენი ჰყავდა ერთ ბედუინს? რა მოუვიდა ერთხელ ბედუინს? რა მოესმა მას ღამით, როდესაც იგი თოკით შეკრული ქვიშაზე ეგდო? რა მოიმოქმედა ცხენმა?

- შესანიშნავი — замечательный
- დაუსვენებლივ — без отдыха
- ტენება — скачка; скакать (на лошади)
- ტყვე — пленник
- საჯაროდ — публично.
- საჯაროდ დაეხვებოდა — публично казнить, расстрелять
- უღაბნო — пустыня
- მწარე ფიქრებს მისცემოდა — предался горьким думам; был погружен в горькое раздумье (он)
- ჭიხვინი — ржание
- სმენად გადაიქცა — (он) весь обратился в слух
- დაუსტვინა — свистнул (он)

- შუქი — свет; луч; ვარსკვლავთა
- შუქზე — при свете звезд
- დაე! — пусть! დაე, მე მტრის ხელით დავიღუპო — пусть, я погибну от руки врага
- კარავი — шатёр; палатка
- ბორკილი — пúты
- ღრღნა — грызть; ღრღნა დაუწყო — начал грызть (он)
- ფაფარი — грива
- ჩაიხვიხვინა — (она) тихо заржала
- ხვიხვინი — тихое ржание
- მერანი — пегас. зд.: конь
- ყოყმანობდა — колебался; раздумывал; не решался
- გაურკვეველი — неопределенный
- გაურკვეველ მდგომარეობაში — в неопределенном положении

- გაკურცლა — помчался; умчался; поскакал; полетел (он)
- წამოიშალა — поднялись; вскочили (они)
- აურზაური — суматоха; сумятица; переполох
- უამს — время; пора
- სიმები — струны
- ქღერა — звучать

სიტყვის ქალა

(აღმოსავლური ლეგენდა)

ერთ კაცს მშვენიერი ცხენი ჰყავდა. ვინც კი ნახავდა, ყველას თვალი ზედ რჩებოდა. ვინ არ მოდიოდა ამ ცხენის სანახავად! სხვათა შორის, ერთ უცხოელს მოეწონა ეს ცხენი და გადაწყვიტა იმის შექენა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმა პატრონი, ვერ გააბედვინა საყვარელი ცხენის გაყიდვა. მაშინ იმ უცხოელმა შემდეგ ზერხს მიმართა: ჩაიკვა ძონძები ხელ-ფეხი და კისერი შეიხვია მათხოვარსავით და დაადგა იმ გზას, რომელზედაც ცხენის პატრონს უნდა გამოეგლო.

აი, გამოჩნდა მშვენიერ ცხენზე მჯდომი კაცი.

მათხოვარმა დასუსტებული ხმით მიმართა მას:

— ღვთის გულისათვის, გამიკითხე დავრდომილი, შორი გზიდან მოგდივარ, მოვიქანცე და, აგერ სამი დღეა, აქედან ფეხი ვეღარ მომიცვლია, რომ სადმე ლუკმაპური ვიშოვო. დამიხსენ სიკვდილისაგან!

ცხენოსანს შეებრაღა გაჭირვებული კაცი და უთხრა:

— შემოაჯექ ცხენზე, შინ წამომყევი და, რითაც შემეძლება, პატივს გცემო.

— ადგომა არ შემეძლია, ბატონო, მუხლებში ჩანი არა მაქვს.

გულკეთილი ცხენოსანი ჩამოხტა, მიიყვანა ცხენი მათხოვართან და დიდი გაჭირვებით შესვა ზედ. მათხოვარი რომ უნაგირზე მოექცა, ცხენს ქუსლი შემოჰკრა, გააქროლა და შორიდან ასე მიამახა:

— მე ის კაცი ვარ, ცხენს რომ გევაჭრებოდით და არ მომყიდე. ახლა სამუდამოდ გამოეთხოვე შენს ცხენსაო!

სახტად დარჩენილმა ცხენის პატრონმა ცოტა ფიქრის შემდეგ დაუშვირა მატყუარას:

— ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი და გთხოვ, რომ ყური დამიგლო, ცრუ მათხოვარმა შეაყენა ცხენი. ცხენის პატრონმა უთხრა:

— ცხენი ხომ დამტყუე და მიგყავს, მაგრამ ერთ რამეს გთხოვ და ის მაინც ამისრულე: ნურავის ნუ ეტყვი, რა ხერხით წამართვი ემ ცხენიო.

— რაღაო? — ჰკითხვა მატყუარამ.

— ქვეყანა გაიგებს და სხვებმაც რომ გაჭირვების დროს შემწეობა ითხოვონ, აღარ გაიკითხავენ: ვაითუ ესენიც ტყუოდნენო. მაშინ მე ვაუ-

ხლები მიზეზი, რომ ხალხი ერთმანეთს აღარ დაენდობა და გაჭირვების ღრუს შემწეობას აღარ აღმოუჩენს, ყველას შიში ექნება არ მოტყუვდეს ისე, როგორც მე შენგან მოვტყუვდიო, — უთხრა ცხენის პატრონმა.

— შურმა დამაბრმავა და მართალს გზას ამაცდინა, მაგრამ მაგ შენმა სიტყვებმა თვალი ამიხილა. გთხოვ, მაპატიო შეცდომამო! — უთხრა მატყუარამ ცხენის პატრონს, გადაეხვია, გადაკოცნა და ცხენი უკანვე დაუბრუნა.

ცხენის პატრონმა მიიწვია მატყუარა შინ და კარგი პატივი სცა. ამის შემდეგ ისინი დიდი მეგობრები გახდნენ.

კითხვები: როგორი ცხენი ჰყავდა ერთ კაცს? ვის მოეწონა? რა უნდოდა უცხოელს? რა ხერხს მიმართა, როდესაც ცხენის პატრონმა უარი თქვა ცხენის გაყიდვაზე? რა ქნა ცრუმათხოვარმა (უცხოელმა), როდესაც ცხენზე შეჯდა? რა უთხრა ცხენის პატრონმა უცხოელს, როდესაც იგი ცხენზე იჯდა და გაქცევას აპირებდა? როგორ იმოქმედა ამ სიტყვებმა უცხოელზე? რით დამთავრდა მათი შეხვედრა?

თვალი ზედ რჩებოდა — глаз не мог оторвать (он)
ვერ დაითანხმა — не смог уговорить; не мог добиться (его) согласия (он)
ვერ გააბედვინა — не смог заставить его решиться
ხერხი — приём; уловка
ძონძები — ветошь; лохмотья
მათხოვარი — нищий
მათხოვარსავეით — как нищий
დასუსტებული — ослабевший; слабый
ღვთის გულისათვის — ради бога
გამიკითხე — зд.: прismatic; помоги
დავრდომილი — немощный; лишенный сил
ფეხი ვეღარ მომიცვლია — не могу сдвинуться (с места)
ლუქმაპური — кусок хлеба

პატივს გცემ — окажу услугу, уважение, почтение
ჯანი — зд.: сила
უნავირო — седло
უნავიროზე მოექცა — сел в седло (он)
მატყუარა — обманщик, лгун
ცრუმათხოვარი — лженищий
შეაყენა — приостановил; оставил (он)
დამტყუე — выманил (ты у меня)
შემწეობა — помощь; поддержка
სოდეყვინა — зд.: не окажут помощи; не подадут милостыни
შური — зависть
შურმა დამაბრმავა — зависть ослепила (меня); зависть лишила меня рассудка.

გამოჩენილ ინგლისელ მწერალს ჯორჯ ბაირონს სასწავლებელში ჰყავდა ერთი გულითადი მეგობარი — რობერტი. იმ სასწავლებელში ყოველ წელიწადს ეწყობოდა შეჯიბრება, თუ რომელი მოსწავლე დაწერდა საუკეთესო ნაწარმოებს. ვინც პირველობას მიიღებდა, მას გამარჯვების ნიშნად გვირგვინს ადგამდნენ თავზე.

ერთ დღეს ხედავს ბაირონი, რომ რობერტი ზის დაღვრემილი.

— რა მოგივიდა, რობერტ, ავად ხომ არა ხარ?

— არა.

— ვინმემ გაწყენინა რამე?

— არა.

— მე ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის?

— ოჰ, არა-მეთქი!

— აბა რა მოგივიდა?

— ხომ იცი, რამდენიმე დღის შემდეგ შეჯიბრებაა. მამაჩემი უკვე ღელავს — გინდა თუ არა, ჯილდო შენ უნდა მიიღო, შენ თავზე უნდა დაეინახო გვირგვინი!

— ასე ძალიან აინტერესებს ეს ამბავი მამაშენს?

— აინტერესებს კი არა, მოსვენება დაეკარგა, სულ ჩემი გვირგვინი ელანდება. მე კი ვიცი, ვინც არის გვირგვინის ღირსი... გვირგვინი შენ შეგხვდება!

ბაირონი ჩაფიქრდა, მერე უცებ თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებული გადაეხვია თავის მეგობარს.

— რობერტ, მე ვნახე გამოსავალი, გვირგვინი უეჭველად შენ შეგხვდება!

— როგორ? — ჰკითხა გაოცებულმა რობერტმა.

— მე ვეცდები, რომ მართლაც კარგი ლექსი დავწერო და შენ წარადგენ მას, როგორც შენს დაწერილს.

რობერტი დიდ უარზე იყო, მაგრამ ბაირონმა მალე დაითანხმა იგი. რამდენიმე დღის შემდეგ სასწავლებლის დარბაზი ხალხით იყო გაშვებული. ყველა ძალაუნებურად აქცევდა ყურადღებას ერთ კაცს, რომელიც საშინლად ღელავდა. ეს იყო რობერტის მამა.

— ვაითუ ჩემს შეიღოს არ შეგხვდეს ჯილდო! — ფიქრობდა ის და ხანდახან ქურდულად გადახედავდა ბაირონს. აქვე იყო ბაირონის დედაც. ის მშვიდად იჯდა და ნაზად იღიმებოდა. მას სწამდა, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მის შეიღოს დაადგამდნენ თავზე გვირგვინს.

აი, წამოდგა პროფესორი და ხმამაღლა გამოაცხადა: — პირველი ჯილდო ერგო რობერტ პილს! — და გვირგვინი დაადგა თავზე. მერე ბაირონი გამოიძახა.

როდესაც ბაირონი მივიდა პროფესორთან, უცებ გაისმა რობერტის ხმა:

— ჯორჯ, ეს გვირგვინი შენია! — და დაადგა თავზე გვირგვინი ბაირონს.

ხალხი გაოცდა. დანტერესებული პროფესორი მისჩერებოდა ყმაწვილებს. რობერტმა გულახდილად უამბო მას ყველაფერი.

ღარბაზში მქუხარე ტაში გაისმა.

ტკბილად იღიმებოდა ბაირონის დედა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თვალცრემლიანი მისჩერებოდა შვილს, რადგან მის თავზე გვირგვინს ვერა ხედავდა; ახლა დედა ამაყობდა შვილით, რომელმაც ამხანაგის გულსთვის ასეთი მსხვერპლი გაიღო. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა რობერტის მამაც, რომ მისმა შვილმა ასეთი სიმტკიცე გამოიჩინა და თავისი შეცდომა გაბოასწორა.

კითხვები: სად ეწყობოდა ყოველ წელიწადს შეჯიბრება და რისთვის? რით აჯილდოებდნენ გამარჯვებულს? რა აინტერესებდა რობერტის მამას? რა შესთავაზა ბაირონმა თავის მეგობარ რობერტ პილს? როგორ მოაქცა რობერტ პილი, როდესაც მას გამარჯვების გვირგვინი დაადგეს თავზე? როგორ შეხვდნენ ამ ამბავს ჯორჯ ბაირონისა და რობერტ პილის მშობლები?

ჯილდო — награда; премия

გამორჩენილი — известный; выдающийся

გულითადი — сердечный; задушевный

შეჯიბრება — соревнование

გვირგვინი — венец

დაღვრემილი — мрачный; угрюмый

ღელავს — волнуется (он)

მოსვენება დაეკარგა — потерял покой, спокойствие (он)

ელანდება — мерещится, грезится (ему, ей)

გაუბრწყინდა — засверкали; блеснули

აღტაცებული — восхищенный; восторженный

უქველად — непременно; обязательно

გაოცებული — изумленный; пораженный

ქურდულად — воровски. зд.: украдкой

გულახდილად — откровенно
ამაყობდა — гордился (он)

მსხვერპლი — жертва

სიმტკიცე — твердость; стойкость.

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს, —
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს!

ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს, —
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!

საარაკო სიღამაზე,
ხალხიც სსახელო! —
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!

გ. ქუჩიშვილი

მხარე — край; страна

ეწვევა — посетит; приедет (в гости к нему, к ней)

საოცნებო — изумительный; чудный

სერები — пригорки; горки

მისწვდება — достигнет

მწვერვალი — вершина

მგოსანი — поэт

ისაუბრებს — будет беседовать, разговаривать

საარაკო — сказочный

სსახელო — славный; прославленный

მოინადირებს — покорит, привлечет (к себе)

ტურფა — красивый; прелестный; ненаглядный.

თბილისი

თბილისი უძველესი ქალაქია. იგი დაარსებულია ვახტანგ გორგასალის მიერ მეხუთე საუკუნეში. სახელწოდება მან თბილი გოგირდის წყაროების გამო მიიღო.

მეექვსე საუკუნიდან თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ამ ხანებში იგი ძალიან გაიზარდა და დაწინაურდა.

თბილისის ზრდას მისმა მდებარეობამაც შეუწყო ხელი. აქ გადიოდა სამხედრო და სავაჭრო გზები. ეს გზები აერთებდა აზიას და ევროპას. წარსულში თბილისს ბევრი მტერი ჰყავდა. ყველა ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას.

მრავალი ომის, აწიოების, ცეცხლისა და სისხლის მოწმეა თბილისი, რომელმაც წამდელი თავისუფლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მთიპოვა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ქვეყნის ეკონომიურ აყვავებასთან ერთად, დიდად გაიზარდა ახალი თბილისი, განვითარდა ქალაქის კომუნალური მეურნეობა, გაიშალა მშენებლობა, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა.

თბილისი საქართველოს ინდუსტრიის მთავარი ცენტრია. აქ მძლავრად განვითარებული მძიმე მრეწველობა, მსუბუქი და ქვების მრეწველობა.

თბილისში გახსნილია მრავალი უმაღლესი სასწავლებელი და საშუალო სკოლა. აქ არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევითი დაწესებულებებით.

თბილისი მდიდარია მუზეუმებით, თეატრებით, ბიბლიოთეკებით და სხვა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

თბილისი ძველთაგანვე განთქმული იყო თავისი გოგირდოვანი სამკურნალო წყლებით. ამ ადგილზე ამჟამად მოწყობილია ბალნეოლოგიური კურორტი.

თბილისის მიდამოებში მდებარეობს მშვენიერი აგარაკები: კოჯორი, კიკეთი, წყნეთი და სხვ. „თბილისის ზღვა“ ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი და გასართობი ადგილია თბილისელებისათვის.

კითხვები: საიდან მიიღო თბილისმა თავისი სახელწოდება? რომელი საუკუნიდანაა იგი საქართველოს დედაქალაქი? რამ შეუწყო ხელი თბილისის ზრდას? როგორი ისტორია ჰქონდა თბილისს წარსულში? როგორია ამჟამად თბილისი?

დაარსებულია — основан
გოგირდი — сера. გოგირდოვანი — серный (-ая)
დაწინაურდა — выдвинулся; стал передовым (он)
სამხედრო — военный
ხელში ჩაგდება — зд.: захватить
აწიოკება — разорение
მოწმე — свидетель
კეთილმოწყობა — благоустройство

მრავალრიცხოვანი — многочисленный
ძველთაგანვე — издавна
სამკურნალო — лечебный
მიდამო — окрестность
აგარაკი — дача
დასასვენებელი ადგილი — место отдыха
გასართობი ადგილი — место развлечения.

ჩვენი ქვეყნის გული

ნათელი, მზიანი დღეა.

თვითმფრინავი დაფრინავს მოსკოვის თავზე. მაგრამ აქედანაც კი რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლიდან, არა ჩანს საბჭოთა კავშირის დედაქალაქის თავი და ბოლო. ვინ მოთვლის, რამდენი ქუჩა, რამდენი მოედანი, ფაბრიკა-ქარხანა და მწვანე პარკია აქ!

მოსკოვში რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს. იქ შეხვდებით ყველა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანებს. აქ რამდენიმე ასი ათასი მოსწავლეა.

მოსკოვი ჩვენი ქვეყნის გულია. იქ მუშაობს საბჭოთა მთავრობა, მოსკოვი ხელმძღვანელობს უწევს ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებას. მოსკოვში ძალიან ბევრი და გამოცდილი მუშაა. ისინი ამზადებენ ქვეყნისათვის ავტომობილებს, ელექტრომანქანებს, დაზვებს, საათებსა და მოტოციკლებს, ფოლადსა და ჩითს, მაუდსა და წიგნებს, ელმავლებსა და კამფეტებს... მოსკოვში მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ შრომობენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები.

მოსკოვი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ საბჭოთა ქვეყანასთან. დედაქალაქში ყოველდღე ჩამოდის რამდენიმე ასი ათასი მგზავრი და ამდენივე მიდის ყოველდღე მოსკოვიდან.

დღეს მოსკოვი ისეთი როდია, როგორც გუშინ იყო და ხვალ ისეთი როდი იქნება, როგორც დღესაა.

კითხვები: რად უწოდებენ მოსკოვს ჩვენი ქვეყნის გულს? რა მნიშვნელობა აქვს მოსკოვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის?

ქვეყნის გული — сердце страны ჩითი — ситец
ნათელი — светлый; ясный მაუდი — сукно
ხელმძღვანელობს უწევს — руководит ელმავალი — электровоз
დაზვება — станок საკეთილდღეოდ — на благо
მჭიდროდ — тесно.

დიდება საბჭოთა საზოგადოების

1917 წლის 25 ოქტომბერს ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა გაიმარჯვეს, ჩვენი ქვეყანა თავისუფალი გახდა. ხალხი განთავისუფლდა სისხლისმწოველი მეფის, კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან, ხელისუფლება ხალხის ხელში გადავიდა. მრავალი მტერი შეეცადა წაერთმია ჩვენი ხალხისათვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ ისინი ყოველთვის მარცხდებოდნენ და ქედს იხრიდნენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების წინაშე.

ბევრმა წელმა გაიარა მას შემდეგ, საღ კლდესავით დგას ჩვენი ქვეყანა, ბედნიერად და მეგობრულად ცხოვრობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხები და არაფერს იშურებენ თავიანთი სამშობლოს კიდევ უფრო გამშვენიერებისა და გაძლიერებისათვის.

თქვენ იცით მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა მრავალი ქალაქის დამცველთა უკვდავი გმირობის ამბავი, თქვენ იცით, თუ როგორ გმირულად ებრძოდნენ მტრებს საბჭოთა მეთორბეი. მათ კარვად იცოდნენ, რომ საყ-

ვარელი საბჭოთა სამშობლო ყოველგვარ მტერს დაამარცხებდა, რომ მათი ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი იქნებოდა ნათელი მომავალი. ჩვენმა ხალხმა დაამარცხა გერმანელი ფაშისტები და მათი მოკავშირეები, ჩვენი ქვეყანა ისევ დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ადამიანებმა ახალ, შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიეს.

ოცდამეხუთე პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად კიდევ უფრო მეტად გამშვენიერდა ჩვენი ქვეყანა: აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საბავშვო ბაღები; გაუმჯობესდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე; დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, მათ დასვენებას და სხვა.

სასიხარულოა ცხოვრება, შრომა და სწავლა ჩვენს ქვეყანაში.

კითხვები: როდის გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კაპიტალისტებსა და მემამულეებზე? ვის ხელში გადავიდა სახელმწიფო ხელისუფლება? რაზე ზრუნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა?

დიდება — слава

სისხლისმწოველი — кровопийца

ხელისუფლება — власть

დამოუკიდებლობა — независи-
мость

ქედი — хребет; спина ქედს იხ-

რიდნენ — преклонялись

სალი — твердый. სალი კლდე —
крутая скала

იშურებენ — жалеют. არ იშურებენ — не жалеют

უზრუნველყოფილი — обеспечен-
ный

ყოფა-ცხოვრება — быт.

მადლობა მშობლიურ პარტიას

მადლობა,

დიადო პარტიაე!

ტკბილია საბჭოთა

სამშობლოს შვილობა,

მიიღე, მშობელო,

ფიცი და პირობა, —

რომ მარად სამშობლოს

ერთგულნი დავრჩებით

პარტიის შვილები,

საბჭოთა ბავშვები.

გარს შენი ზრუნვა და

ამაგი გვარტყია,

მადლობა,

მადლობა

მშობლიურ პარტიას!

მ. ლებანიძე

მადლობა — спасибо

ფიცი — клятва

პირობა — условие

დავრჩებით — останемся

გარს — вокруг; кругом

ზრუნვა — забота

ამაგი — попечение

გვარტყია — окружает (нас)

ტანიას ღელა

1. გმირი მფრინავები

მოსკოვიდან შორს, შორს, ციმბირის ტაიგას თვითმფრინავი დაჰკუგუნებს. ეტყობა, ფრენა უძნელდება: მუქი და მძიმე ღრუბლები ეღობება. თვითმფრინავი შეიქრა ღრუბლებში და ავიდა მაღლა. თვითმფრინავის ფრთებზე წარწერაა: „Родина“. თვითმფრინავი სამ ქალს მიჰყავს. საქესთან ზის უფროსი — ვალენტინა გრიზოდუბოვა. სწორედ ის არღვევს ღრუბლებს და ებრძვის ქარიშხალს. როდესაც დაიღლება, მას შეცვლის მესაჭე პოლინა ოსიპენკო. ყველაზე წინ, მინის კაბინაში, ხელსაწყოებთან ზის შტურმანი და უჩვენებს მიმართულებას. აციმციმდება თუ არა მწვანე ნათურა — მესაჭე მარჯვნივ მოუხვევს; წითელი ნათურა რომ აციმციმდება — მარცხნივ მოუხვევს. შტურმანს ვერავენ შეცვლის. შტურმანია მარინე რასკოვა.

მას სახლში ჰყავს დატოვებული შვილი, პატარა გოგონა ტანია. მთელი დღე-ღამეა, რაც ისინი ჰაერში არიან, არ სურთ დედამიწაზე დაშვება.

რატომ?

მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა მფრინავ ქალებს შეუძლიათ სამაგალითო ფრენა და რომ საბჭოთა თვითმფრინავებს დედამიწის ზურგზე ტოლი არა ჰყავთ. მათ უნდათ ძირს დაუშვებლად გადაფრინდნენ მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში.

2. მოსკოვში

ყოველ დღით მოსკოველები იტაცებენ გაზეთებს და ათვალეურებენ, რამე ცნობა ხომ არ არის ტანიას ღელისა და მისი ამხანაგებისაგანაო. რატომღაც შეწყდა კავშირი თვითმფრინავთან. რამდენჯერმე მიაწოდეს რადისტებმა ნიშანი, მაგრამ თვითმფრინავიდან რადიო არ პასუხობდა, რადისტებმა ნიშანი, მაგრამ თვითმფრინავიდან რადიო არ პასუხობდა.

ყველას აწუხებს ფიქრი: სად არიან ჩვენი მამაცი მფრინავი ქალები? საჭიროა მათი მოძებნა, დახმარება. საბჭოთა მთავრობა იძლევა განკარგულებას: დაუყოვნებლივ წავიდნენ მოსაძებნად და გადაარჩინონ მამაცი მფრინავები.

„როდინას“ მოსაძებნად თვითმფრინავების მთელი გუნდი გაეშურა, ფრინველებივით დასტრიალებენ თვითმფრინავები ციმბირის ტყეებს, მთებს, მდინარეებს, მაგრამ „როდინა“ არა ჩანს.

ციმბირის სოფლებიდან გამოვიდნენ მონადირეთა რაზმები და კოლმეურნეები. ისინი დადიან ტყეებში, მინდვრებში, ეძებენ, არ უნდათ შინ დაბრუნება, სანამ „როდინას“ არ იპოვიან.

ასე გავიდა ათი დღე.

3. თვითმფრინავში

ქარიშხალი ჩადგა, მფრინავებს ფრენა გაუადვილდათ. უცებ თვითმფრინავში აინთო პატარა ნათურა. ეს ნიშანია: „ბენზინი თავდება“. საჭიროა მიწაზე დაშვება, მაგრამ ქვეშე ჭაობია, საშიშია, ხოლო თვითმფრინავი რომ მიწაზე დაეცეს, შტურმანის კაბინა მინისაა, დაიმსხვრევა და მარინე დაიღუპება.

ვალენტინა გრიზოდუბოვა უგზავნის მარინეს ბარათს, „გადახტი“, მარინეს ეძნელება ამხანაგების დაშორება, მაგრამ უფროსის ბრძანება კანონია. მარინემ სწრაფად აიღო ასანთი, დანა, კომპასი, შოკოლადი, გააღო კარი და გადახტა. პარაშუტი გაიხსნა.

ძირს ეშვება, მიწისაკენ...

მარტოდმარტო დარჩა ტანიას დედა ტაიგაში.

4. ტაიგაში

ირგვლივ დაბურული ტყეა. ღამდება. ცივა.

ტანიას დედა კი მარტოა.

უცებ სროლა მოისმა, მოისმა მეორეც. ამხანაგები ისვრიან, ანიშნებენ, რომ მათკენ წავიდეს ტანიას დედა. მაშასადამე, თვითმფრინავი მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე.

ტანიას დედა ჯერ ყურს უგდებს, უნდა გამოარკვიოს, საიდან ისმის სროლა. მალე დაღამდება, წასვლა არ შეიძლება. წამოწვა ხის ძირას. იმედი აქვს, რომ ხეალ ამხანაგებს შეხვდება.

კარგია, რომ ტანია ვერ ხედავს, თუ როგორ სძინავს მის დედას დაბურულ ტყეში მარტოდმარტოს; ვერ ხედავს, როგორ დაბაჯბაჯებს ტყეში დათვი და ამტვრევს ტოტებს; ვერც იმას ხედავს, რომ ფოცხვერი მსხვერპლის მოლოდინში ხის ტოტზე მოკალათებულია.

5. შეცდომა

გათენებისას გამოელვია ტანიას დედას. მოჭრა ჯოხი და გაეშურა „როდინას“ საძებნელად. მიდის და ჰგონია, რომ უახლოვდება თვითმფრინავს. არ იცის, რომ თანდათან შორდება.

ტყემ და გორაკებმა მოატყუეს იგი.

ტყეში რომ დაიძახა „ჰეი“, გამოძახილიც გაიმეორებს „ჰეი“, მაგრამ მეორე მხარეზე. აქაც ასე მოხდა: სროლა გორაკებში იმ ადგილიდან არ გაისმოდა, საიდანაც ისროდნენ. ასეთი შეცდომის გამო ტანიას დედა ტაიგაში დარჩა ათ დღესა და ათ ღამეს.

6. შიმშილი და საფრთხე

ტანიას დედა ყოველ დღით გაათენებისას დგებოდა და მიდიოდა სანამ ძალ-ღონე შესწევდა. ერთხელ კინადამ ჭაობში დაიხრჩო, მკერდამდის ჩაიძირა. ძლივს ამოუფოხნა, შოკოლადის ნატეხი ჰქონდა და ყოველდღე ცოტ-ცოტას იზოგავდა. ზოგჯერ ტყის ხილს იპოვიდა და იმას შეეცქოდა. სოკო თუ შეხვდებოდა, იმასაც დაღეჭავდა, მაგრამ ამით გაძლომა განა შეიძლებოდა? ღონე თანდათან ელეოდა, ხელ-ფეხი სულ დაეკაწრა, მოძრაობა უძძიმდა.

— იქნებ ვერ მიპოვონ? განა ასე ადვილია უზარმაზარ ტყეში პატარა ადამიანის პოვნა? — ფიქრობდა და თან თავს ინუგეშებდა:

— რატომ ვფიქრობ ასე? განა საბჭოთა მთავრობა და მასთან მთელი ხალხი საბჭოთა ადამიანს ტყეში დაჰკარგავენ? არასოდეს!

დამშვიდდებოდა და ისევ წინ მიდიოდა.

7. მფრინავი სახაროვი

ამ დროს ციმბირის ტყეებს თავს დასტრიალებდა მფრინავი სახაროვი რამდენიმე დღეა ეძებს „როდინას“.

ჭაობზე რაღაცა ბრწყინავს.

— ალბათ, გუბეა, — გაიფიქრა მფრინავმა, — არა ღირს დაშვება. ეს რა საკვირველებაა? გუბესთან გამოჩნდა ჯერ ერთი თეთრი წერტილი, მეორე — მეორე. სახაროვი მოუახლოვდა და ხედავს, რომ მიწაზე თვითმფრინავია. თვალს არ დაუჭერა.

— ეს რა არის, ყველგან თვითმფრინავი მელანდება? საჭიროა დამხმარებმა ნახონ. მაგრამ როგორ აცნობოს მათ? სახაროვმა ჰაერში აათამაშა თვითმფრინავი, არხეკს, ათასგვარ თინს მიმართავს. დამხმარებმა ყურადღება მიაქციეს და მიუხვდნენ სახაროვს, დააკვირდნენ, მართლაც, თვითმფრინავია. იქვე ორი პარაშუტი დაგებული და ორი ადამიანი დარბის, ხელებს აქნებს.

— ეს „როდინა“, — გაუხარდა სხაროვს, — ყოჩალი მფრინავები არიან. როგორ მოისაზრეს პარაშუტების დაგება? უამისოდ მე ხომ ვერ შევამჩნევდი, — ფიქრობდა და სიხარულით ჰაერში ათამაშებდა თვით-მფრინავს. მთელმა საბჭოთა ქვეყანამ რადიოთი გაიგო:

— მფრინავი ქალები ვიპოვეთ! ჯერ მხოლოდ ორი აღმოვაჩინეთ, მალე მესამესაც მივაგნებთო.

8. ხანძარი

ტანისა დედა ღონემიხდილი დაეხეტებოდა ტაიგაში. ცუდი დღე დაუდგა: დილიდან არაფერი უქამია. ხალაშოთი ბუჩქის ძირას დაინახა ორი სოკო. გაუხარდა, ჯოხზე წამოაყვია, ცეცხლი გააჩაღა და შეუდგა ვახშმის მზადებას. უეცრად აბრიალდა ირგვლივ ბალახი, გაისმა ტკაც ტკუცი. ხანძარია! გაიქცა, ალი მისდევს. კვამლში გაეხვია ტყე. ასანთი დაიწვა, ვახშამი დაელუბა, ჩექმა დაეკარგა. დგას ფეხშიშველი. სცივა. სწორედ ამ დროს ცაში გაისმა გუგუნი. ხანძრისა და კვამლის ზემოთ თვითმფრინავი დაცურავს.

— საყვარელო მფრინავებო! — ფიქრობს მარინე და სიხარულისაგან იცინის.

მეორე დღეს უამრავი თვითმფრინავი მოფრინდა. შორს, ერთ ადგილას ტრიალებს თვითმფრინავთა გუნდი.

— „როდინას“ დასტრიალებენ, — ფიქრობს მარინე, — აი, საით უნდა წავიდე! ახლა კი აღარ ამერევა გზა.

ძალ-ღონე მოიკრიბა და „როდინასაკენ“ გაეშურა.

9. ბანაკი ტაიგაში

ვალენტინა გრიზოდუბოვა და პოლინა ოსიპენკო „როდინასთან“ შეხვდნენ სტუმრებს. ოთხი სტუმარი პარაშუტებით ჩამოხტა. ესენი იყვნენ სამხედრო მფრინავები და ექიმი პარაშუტისტი. სოფლებიდან მოვიდნენ მონადირეები და კოლმეურნეები.

მხიარულად შეხვდნენ მფრინავი ქალები სტუმრებს.

ვალენტინას ისე მოხერხებულად დაეშვა თვითმფრინავი, რომ ერთი მინაც არ დაზიანებულა. ორნი ცხოვრობდნენ თვითმფრინავში, თოფით იგერიებდნენ დათვებს, მორიგეობით იძინებდნენ. ყველაზე უფრო აწუხებდათ მარინეზე ფიქრი. სად არის? ცოცხალია? როგორ არის?

10. შეხვედრა

სადამო ხანი იყო. პოლინა ოსიპენკომ წამოიძახა:

— მარინე! მარინე მოდის!

ყველა მისკენ გაეშურა.

მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს. ოსიპენკოს სიხარულის ცრემლები მოერია.

— რას ნიშნავს ამდენი ხალხი? — იკითხა მარინემ.

მას აუხსნეს.

— ექიმიც არის? — ეკითხება ის შეშინებული ხმით.

— რასაკვირველია, არის. მე გახლავარ, — ეუბნება ექიმი, — ახლავე გაგსინჯავთ.

— სწორედ ამის მეშინოდა! — თქვა მარინემ. — თქვენ მეტყვიეთ, რომ ხანგრძლივი შიმშილის შემდეგ ბევრი არ მეჭმევა, მე კი ძალიან მშია!

თვითმფრინავები ზემოთ დასრიალებდნენ და ძირს გემრიელ საქმელსა და მისასალმებელ ბარათებს უშვებდნენ.

ბ. გერნეტი

კითხვები: ვის მიჰყავდა თვითმფრინავი „როდინა“ და სად? ვინ იყვნენ მფრინავ ვალენტინა გრიზოდუბოვასთან ერთად? რა ამოცანას ისახავდნენ მფრინავი ქალები?

რა შეემთხვათ ტაიგაში?

რა შეეცდომა მოუვიდა მარინე რასკოვას?

ვინ იპოვა მფრინავი ქალები?

სად იყო ამ დროს რასკოვა? საითკენ აიღო მან გზა და რატომ?

როგორი შეხვედრა ჰქონდათ მარინესთან?

1. დაჰგუგუნებს — гудит; разносится гудение

ფრენა — летать. ფრენა უძნელდება — трудно летать (ему, ей)

შეიჭრა — ворвался; врезался; проник (он)

საჭე — руль. საჭესთან — за рулем

ატიმციმდება — засветиться
ძირსდაუშვებლად — беспосадочно (перелететь)

2. იტაცებენ — расхватывают; расхищают

შეწყდა — прервался; прекратился

დაუყოვნებლივ — незамедлительно; немедленно

დაიღუპნენ — погибли (они)

3. ჭაობი — болото

გადახტი — прыгай

მარტოღმარტო — одиноко; в полном одиночестве; наедине

4. დაბურული — густо затененный, заросший; дремучий (лес)

მაშასადამე — следовательно; значит; стало быть; и так

წამოწვა — прилег (он)

დაბაჯბაჯებს — ходит вразвалку, вперевалку

ფოცხვერი — рысь

მოკალათებულა — устроился (-лась); расположился (-лась); уселся (-лась) (он, она)
 5. მოჭრა — срезал (-ла); срубил (-ла) (он, она)
 გაეშურა — направился (он)
 მოატყუეს — обманули (его они)
 გამოძახილი — эхо; отзвук; отголосок
 6. საფრთხე — опасность
 ეინდამ — чуть было
 ამოფოხხდა — вылез (-ла); вскарабкался (он, она)
 იზოგავდა — берегла; экономил; экономно расходовала (она)
 შეეჭკვოდა — угощалась; аппетитно кушала (она)
 სოკო — гриб
 დაეკაწრა — исцарапал (он)
 7. საკვირველება — чудо; диво
 გუბე — лужა
 მელანდება — мерещится (что-то)
 თინი — проделка; штука; трюк
 ყოჩაღი — бравый; удалой; умелый

მოისაზრეს — сообразили (они)
 8. ხანძარი — пожар
 ღონემიხდილი — обессиленный; изнурённый
 დაეხეტებოდა — скитался (-ась); бродил (-а) (он, она)
 აბრიალდა — воспламенился; запылал
 ტკაცატკაცი — потрескивание
 ჩექმა — сапог
 9. ბანაკი — лагерь
 მოხერხებულად — ловко; умело, მოხერხებულად დაეშვა — умело опустился (-ась) (он, она)
 არ დაზიანებულყო — не было повреждено; не было разбито
 მორიგეობა — дежурство მარბიგეობით იძინებდნენ — засыпали по очереди
 10. შეხვედრა — встреча
 გადაეხვივნენ — обнялись (они)
 დასრიალებდნენ — летали (они) носились (в воздухе)
 მისასალმებელი ბარათი — приветственное письмо.

დედა

როცა მეფე ბატონობდა და მონობის უღელს ჭედდა, მეფის ტახტის დასამხობად მოუხმობდა გამირებს დედა.
 როცა ხალხი თავგანწირვით რუსთა მეფის ტახტს ეკვეთა, დიდ ლენინთან ძმადშეფიცულ შვილს ლოცავდა ქართველის დედა.
 როცა ხალხი მხნედ იბრძოდა ფაშისტების გასაწყვეტად,

სამშობლოსთვის! პარტიისთვის! მიუძღოდა შვილებს დედა.

როცა მტერი კვლავ ამზადებს სისხლისღვრას და ხოცვა-ყლეტას, ხიფათი რომ აგვაშოროს, მშვიდობისთვის იბრძვის დედა.

და თუ მტერმა მუხანათმა ჩვენთან ომი კვლავ გაბედა, დედა წითელ დროშას გაშლის, გაგვიძღვება წინ იმედად. აი, რატომ გვიყვარს დედა!

ა. მირცხულავა

ბატონობდა — господствовал; властвовал (он)	მხნედ — бодро; энергично; стойко
მონა — раб, მონობის უღელი — ярмо рабства	სისხლისღვრა — кровопролитие
ქედდა — ковал	ხოცვა-ყლეტა — резня
ტახტი — престол	ხიფათი — опасность; беда
ეკვეთა — бросился; атаковал; ринулся (он)	მუხანათი — вероломный; неверный
ძმადშეფიცული — побратим; побратавшийся	იმედი — надежда. იმედად — в надежде; питая надежду; возлагая надежду.
ლოცავდა — благословлял (он)	

ლი ჩან დეკი და ზრელი ბურთი

1951 წლის ივლისი იყო. ამერიკული ბომბებისაგან მიწასთან იყო გასწორებული კორეის დედაქალაქ ფხენიანის უბნები. დანგრეული სახლის კედლები და ღუმელებიც კი აღარ ჩანდა. ქუჩები და ეზოები მტერი-სა და ნანგრევების გორებად ქცეულიყო. გადარჩენილი მცხოვრებლები ქალაქგარეთ მიწის თხრილებში იყვნენ თავშეფარებულნი.
 ორ დღეს განუწყვეტლივ ბომბავდა მტერი კორეის დედაქალაქს. დღეს ოდნავ სიწყნარე ჩამოდგა. რამდენჯერმე გადაიფრინეს ქალაქის თავზე მტრის თვითმფრინავებმა, სახენიტო არტილერიამაც სროლა ატეხა, მაგრამ აფეთქების ხმა ერთხელაც არ გაუგონიათ მცხოვრებლებს. დილით მიწურიდან ყველაზე ადრე ფხენიანელი მუშის შვილი პატარა ლი ჩან დეკი ამოვიდა. რა გააჩერებდა მიწაში ხუთი წლის ბიჭუნას, როცა ძლივს სიწყნარე ეღირსა.

— ლი, შორს არ წახვიდე, — მოესმა მას დედის ხმა. ლიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. იქვე ნანგრევებზე წამოწვა, სილას ქექვა დაუწყო. რამდენი რამეა საინტერესო ახლა ფხენიანის მიწაში. ყოველი მუჭა მიწა ლითონის ნატეხებითაა საესე. მერე, როგორ უყვარს პატარა ლის ბრჭყვიალა ნატეხები. მამა ქარხნიდან სულ ბრჭყვიალა ლითონის ბურბუშელას უზიდავდა. ახლა მამა არმიაშია და დედას ათასი საქმე აქვს. დღისით ქალაქის აღდგენაზე მუშაობს, ღამით საქმელს უმზადებს ლი ჩანს და თან სახალხო არმიის მებრძოლების ტანსაცმელსაც კერავს. ლი ჩანს სილის ქექვა მოეწონა. წამოჯდა. მზე მალლა აწეულიყო. ცხელოდა კიდევ. გუშინ ამ დროს ის და კიმი პატარა ღელეში ბანაობდნენ.

დღეს რატომ არ მოდის კიმი? იქნებ მიმასწრო კიდევ! — გაიფიქრა მან და ღელისაკენ გაეშურა.

ლი ჩანმა გზაზე ბურთი დაინახა და თვალს არ დაუჯერა. შორიახლოს გაჩერდა. მიიხედ-მოიხედა, ეგებ ახლოს სადმე პატრონიც იყოსო. არავინ ჩანდა, ლი ჩანმა ბურთი აიღო; ნამდვილი ბურთი აღმოჩნდა, თანაც მრავალფერად შეღებილი. ოჰ, რა ბედნიერი იყო ლი, როგორ უხაროდა? ნეტავ ახლა მამა იყოს სახლში. რამდენს ითამაშებდა მასთან! ნატრის ბურთით ეთამაშებოდა ხოლმე სამუშაოდან მოსვლის შემდეგ. ახლა კი ჭრელი, ნამდვილი ბურთი აქვს ხელში ლი ჩანს. ფეხს აუჩქარა. სულმოუთქმელად მივარდა კიმის მიწურს, ეგებ ჯერ არც იყო წასული. მართლაც იქვე მიწაყრილზე იჯდა კიმი. საუზმეს ელოდებოდა.

— შენია? — მივარდა ლი ჩანს კიმი.
— მაშ! შეხედე, როგორია! — სიცილით მიუგო ლინ ჩანმა და ბურთი ხელში შეატრიალა, შემდეგ გაჰკრეს ფეხი, ხტოდნენ. კიმის დედამ ერთი თეფში ფაფა ძლივს შეაჭამა ბავშვებს.

სადამოს ლი ჩანი სახლისაკენ გაეშურა. დიდი ამბით მოჰქონდა ბურთი, თან გზადაგზა მხიარულად სტვენდა.

ღედა უქვე მოსულიყო და მიწურში ფუსფუსებდა.
— ბრინჯი რად არ გიჭამია? — გაუწყრა ის ლი ჩანს.
— მე... მე... — დაიბნა ბიჭი.
— რა მოგივიდა! — ახლა სიყვარულით მოხედა დედამ. — ეგ რა გაქვს ხელში?

— ბურთი, ბურთი ვიპოვე. მთელი დღე მე და კიმი ამით ვთამაშობდით.

დედამ ბურთი გამოართვა. მართლაც კარგი ბურთი ეპოვნა ლი ჩანს.

შემდეგ დედამ პატრუქი აანთო, სუფრაც გაამზადა. ლი ჩანმა ბურთი მუხლებზე დაიდო. კავზის ხელში აღება და... რალაცამ ყრულ იფეთქა. სინათლე ჩაქრა, მიწურის კედლებიდან ხმაურით ჩამოცვივდა მიწა. გონს

პირველად დედა მოვიდა. ასანთი გაჰკრა. ბავშვს მივარდა, ის იატაკზე გაშლართული ეგდო. გულმკერდიდან სისხლი სდიოდა, მარცხენა ხელი ისე მოეკეცა, თითქოს რალაცამ იხუტებდა გულში. უთუოდ ბურთი უნდოდა ჰქონოდა თან, მაგრამ სადღა იყო ბურთი!

ჭრელი ბურთის შიგნით ასაფეთქებელი ნივთიერება იყო თურმე მოთავსებული. ისიც ისეთი ვარაუდით, რომ კარგა ხნის შემდეგ აფეთქებულყო.

წინაღმით მოზუზუნე ამერიკელ თვითმფრინავებს ჩამოეყარათ ეს ბურთები ქალაქის მიდამოებში.

ერთი საათის შემდეგ პატარა ლი გარდაიცვალა.

კითხვები: ვის ესხმოდნენ თავს ამერიკელები? როგორი იყო მათი თავდასხმის შედეგები? ერთხელ, როდესაც სიწყნარე ჩამოდგა, ვინ ამოვიდა მიწურიდან? რა დაინახა ლი ჩანმა გზაზე? როგორი იყო ბურთი? რა მოუვიდა ლი ჩანს? ვინ ჩამოყარა ფეთქებადი ბურთები ქალაქის მიდამოებში?

- ჭრელი — пестрый
- უბანი — участок; квартал
- დანგრეული — разрушенный
- ნანგრევები — руины; развалины
- თავშეფარებულნი — находящиеся в укрытии, в убежище
- აფეთქება — взрыв
- მიწური — землянка
- ბიჭუნა — мальчуган
- მუჭა — горсть
- ლითონი — металл
- ბრჭყვიალა — блестящий; сверкающий
- ბურბუშელა — стружки
- ქექვა, ქექვა — копать; рыть
- ღელე — речка

- სულმოუთქმელად — без пере- дышки
- მიწაყრილი — земляной вал
- გაეშურა — устремился; направился (он)
- ბრინჯი — рис
- პატრუქი — свечка; фитиль
- იფეთქა — взорвался
- ასანთი — спички
- გაშლართული ეგდო — лежал пластом
- ასაფეთქებელი ნივთიერება — взрывчатое вещество
- მოზუზუნე — свистящий; жужжащий.

კომპაგვირული

ჩვენ ნოვდვივართ უზარმაზარ ტალღად გაშლილი. ამ ჩვენს დროშას მტრის მუქარა ვეღარ მოლუნავს, ჩვენი გვარი

და სახელი: ანკომკავშირი, ჩვენი საქმე და მიზანი: შრომა-კომუნა.. ჩვენ მივდივართ და ზანზარებს ცა ოქროსფერი,

ირველი ცეცხლით დაჯავშნული
ღვას ოქტომბერი:
გეშინოდეს და ტიროდღე
ძველო ევროპა,
ნუთუ სისხლი ამდენი ხნის
აღარ გეყოფა?
მუქთახორებს
განსვენების მარშებს ვუძღვრით:
— ვაშა ჰორერა, ჰარალო და
ვაშა და ვაშა!...
ამხანაგო,
გადავარდა რკინის უღელი,

უზარმაზარი — огромный; громадный

ტალღა — волна

მუქარა — угроза

მოღუნავს — согнет. მოღუნვა — сгибание

ახკომკავშირი (ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი) — комсомол

ხანხარებს — дрожит; трясется

ოქროსფერი — золотистый; золотого цвета

დაჯავშნული — бронированный; забронированный

გეშინოდეს — бойся

მუქთახორა — дармоед; тунеядец

განსვენება — кончина

ვაშა — ура

ჰორერა, ჰარალო — слова припева к грузинским народным песням

უღელი — ярмо; (перен.) иго

ძღვევის — зд. победы. ძღვევის დროშა — знамя победы

შფოთავს — волнуется; мечется

ტანზვირთოვანი — зд. громадный; огромный

დარაზმული — выстроенный; сплоченный; организованный

მოდარაჯე — тот, который сторожит, следит бдительно (за кем-н., за чем-н.); охранитель.

ოპროს ბალი

1

ზაფხულის მიწურული იყო.

მატარებელი კოლხეთისაკენ მიქროდა.

ფანჯრიდან თავები გადმოეყოთ წითელყელსახვევიან ბავშვებს, რომ-

ამხანაგო,
ძღვევის დროშამ გაითამაშა!
მოგვაქვს დროშა გამარჯვების,
დროშა მზისფერი,
შფოთავს ქუჩა
ტანზვირთოვან ტალღად
გაშლილი,
მოდის რიგში დარაზმული,
მოდის სიმღერით
ახალი ქვეყნის მოდარაჯე
ახკომკავშირი!

ა. მირცხულავა

ლებიც მხიარულად მღეროდნენ მშობლიურ ენაზე და თან უცნობ მხარეს
უურადლებით ათვალიერებდნენ.
ვაგონში ჭაბუკებისა და გოგონების სიცილი და მხიარული ლაპარა-
კი ისმოდა.

— სადაურები ხართ, ბიჭებო? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა კაცმა
ერთ ქერა ყმაწვილს, რომელიც ალბომს ჩასცქეროდა.

— უკრაინელები.

— ექსკურსიაზე ხართ?

— დიახ, რუსთავეში ვიყავით, მეტალურგიული ქარხანა ვნახეთ.

— ახლა სამშობლოში ბრუნდებით?

— დიახ, მაგრამ დაბრუნებამდე გვინდა კოლხეთის რომელიმე კოლ-
მეურნეობა დავათვალიეროთ. ბევრი რამ გაგვიგონია ამ მხარის შესახებ,
ლამაზი სოფლები ყოფილა, მილიონერი კოლმეურნეობები.

საუბრის წამომწყები დაფიქრდა.

რაკი ეგრეა, ჩვენს კოლმეურნეობაში წამობრძანდით, მე ბრიგა-
დირი ვარ, მახარეს მეძახიან. შენი სახელი? — ჰკითხა ბოლოს მახარემ.

— ნიკიტა, — უპასუხა ბიჭუნამ და ახლად გაცნობილს ხელი გაუ-
წოდა. მახარეს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ნიკიტამ ერთი ყრამული
ატეხა.

— ბავშვებო, ბავშვებო! აქ მოდით, ჩვენს ხელმძღვანელსაც სთხო-
ვეთ. ახალი ამბავი, ახალი ამბავი! — იძახდა იგი.

ბავშვები გარს შემოეხვივნენ ნიკიტას.

— რა მოხდა? რა ამბავია? — კითხულობდნენ ისინი.

— აი, ეს ძია გვეპატიჟება თავის კოლმეურნეობაში! წამოიძახა
ნიკიტამ და შეკრებილთ უცნობი ძია გააცნო.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო... — იძახდნენ ბავშვები და მახარეს
რიგრიგობით ხელს ართმევდნენ.

— საიდან მობრძანდებით? — ჰკითხა მახარეს პიონერთა ექსკურსიის
ხელმძღვანელმა.

— თბილისიდან. ჯილდო მივიღე და საჩუქრებიც მიმაქვს ოჯახისა-
თვის, ბავშვებისათვის, — თქვა მახარემ და საზაფხულო პალტოს ქვე-
მოდან მედალმა „ნამგალი და ურო“ გამოანათა.

— სოციალისტური შრომის გმირი ყოფილა, — წასჩურჩულა ბავ-
შვებს ნიკიტამ.

მახარემ ნიკიტას ქოჩორზე ხელი გადაუსვა:

— მეც შენოდენა ბიჭი მყავს, პიონერია, ხუთოსანი. უეჭველად გა-
გაცნობთ, — თქვა მან და ცნობისმოყვარე ბავშვებს გადახედა.
მატარებელი სწრაფად მიქროდა. ყანები შრიალებდა და ნიავს ვაგონ-
ში ჰყინტი სიმინდის სურნელება შემოჰქონდა.

სოფლისაჲენ მიმავალ სტუმრებს მახარე წინ მიუძღოდა.

— ძველად ეს ადგილები ვაუვალი ეკალბარდებითა და ქაობებით იყო დაფარული. ახლა ამ ლამაზ ბაღნარებს და სახლებს რომ ხედავთ, ეს პარტიის თაოსნობითაა გაშენებული. განა მარტო ეს სოფელი? ჩვენი მხარე წალკოტადაა ქცეული, ჩვენი წინაპრები ამას სიზმრადაც ვერ ნახავდნენ! — ამბობდა გზადაგზა მახარე. სოფელს უახლოვდებოდნენ.

3

გულთბილად მიიღეს კოლმეურნეობაში სტუმრები. აქ გაიცნეს ერთ-მანეთი უკრაინელმა და ქართველმა პიონერებმა: გურამმა და ნიკიტამ, მიკოლამ და ვახტანგმა, ლესიამ და თამრომ და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენმა. იმ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მახარეს ხელმძღვანელობით მთელი კოლმეურნეობა დაათვალიერეს სტუმრებმა. ისინი ყველაზე მეტად ციტრუსების ბაღებმა გააოცა.

— ახლა რაა, თქვენ შემოდგომაზე უნდა ნახოთ! ნამდვილი თქროს ბაღია, თქროს ბაღი! — იძახდა მახარე და ფორთოხლისა და მანდარინის მწვანე ნაყოფს ხელში ათამაშებდა.

იმ საღამოს უკრაინელ მეგობრებს კოლმეურნეობის კლუბში სახელდახელო შეხვედრა მოუწყვეს. სცენაზე ქართველს უკრაინელი ცვლიდა და უკრაინელს — ქართველი. გვიანობამდე ისმოდა ჩონგურების ტყბილი ხმები, ვაყებისა და გოგონების წკრიალა სიმღერები.

მეორე დღეს უკრაინელი და ქართველი მეგობრები სიმღერით მიდიოდნენ სადგურისაკენ.

სადგურზე დიდხანს აღარ დასჭირვებიათ ლოდინი. მატარებელი მალე ჩამოდგა და სტუმრები ვაგონში ჩასხდნენ. დაიძრა თუ არა მატარებელი, ფანჯარასთან მდგომმა სტუმრებმა ცხვირსახსოცები ააფრიალეს, ემშვიდობებოდნენ მეგობრებს.

მატარებელი ზღვისაკენ მიქროდა, ნიკიტამ დღიურში აღნიშნა ეს სამახსოვრო დღე, ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ სამშობლოსაკენ მიდიოდნენ ბავშვები, რომელთაც გულთბილად მიჰქონდათ ქართველი მეგობრების წრფელი სიყვარული.

4

ორსართულიანი სახლის სუფთად მოწყობილ ოთახში გურამი წევს, თუმცა გვიან არის, მაგრამ ვერ იძინებს, რაღაც აწუხებს. მართალია, მიწერ-მოწერა აქვთ, მაგრამ მაინც მათზე ფიქრობს. უნდა სამახსოვრო

რამე გაუკეთოს შორეულ მეგობრებს და ვერ მოუფიქრებია. კედელზე დაკიდებულ პურის თავთავებს გადახედავს... ეს ხომ ნიკიტამ უსახსოვრია! მერე თვითონ რა გაუგზავნა სამაგიეროდ?! — არაფერი...

აი, გურამს სახე გაუბრწყინდა. ალბათ, რაღაც მოისაზრა. კმაყოფილება იგრძნო... თითქოს კიდევ დამშვიდა... და ძილიც მოერია.

მეორე დღეს გურამმა კოლმეურნეობის კანტორის კარი ფრთხილად შეაღო. თავმჯდომარე ტელეფონით ლაპარაკობდა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, გურამს მიუბრუნდა.

— საქმე გაქვს?

— დიახ, ძია გიორგი.

— ჩქარა მითხარი, თორემ წასასვლელი ვარ, — უთხრა თავმჯდომარემ და წამოდგა. გურამი გამობრუნდა, კარი გააღო და ამხანაგებს გასძახა:

— მოდი, მოდი!

ათიოდე ბავშვის შესვლაზე გიორგიმ გაოცებით წამოიძახა:

— რა ამბავია?

— დახმარების სათხოვნელად მოვედით, ძია გიორგი, — უპასუხა გურამმა.

— თუ რამე შემიძლია, — აღერსიანად თქვა გიორგიმ და სიყვარულით გადახედა კარებთან ატუხულ ბავშვებს.

— ჩვენი კოლმეურნეობის პიონერებმა გადაწყვიტეთ, — დაიწყო გურამმა, — როგორც თქვენ გაგზავნეთ უკრაინაში ციტრუსების ნერგები, ჩვენც ისეთივე საჩუქარი გავუგზავნოთ უკრაინელ კოლმეურნეთა შვილებს, აი იმათ, ზაფხულში რომ გვეწვივნენ. ხომ გახსოვთ?

გიორგი წამოდგა. ბავშვებს ღიმილით გადახედა, მერე გურამს მიუახლოვდა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ნიკიტას?

— დიახ, ნიკიტას, მიკოლას, ლესიას, სხვებსაც...

— თავმჯდომარე მაგიდას მიუჯდა, რაღაც დაწერა, შემდეგ გურამს მიუბრუნდა და უთხრა:

— ვანოსთან მიდი, ჩვენს აგრონომთან, ეს ბარათი გადაეცი, იგი ყველაფერს მოგიგვარებთ.

გურამმა სიხარულით გამოართვა ბარათი.

— გმადლობთ, ძია გიორგი! — თქვა მან და ღიმილით გადახედა ამხანაგებს.

გახარებული ბავშვები ცოტა ხნის შემდეგ ძია ვანოსაკენ მიიქართოდნენ ურბანულით.

ორი ღლის შემდეგ ძია ვანომ ბავშვები სანერგეში წაიყვანა. ფორ-
თოხლის, ლიმონისა და მანდარინის ათი ნერგი მოთხარეს, ძირზე ხავსი
შემოაყარეს, კილობში შეახვიეს, თოკი მოუჭირეს და შემდეგ წინასწარ
გამზადებულ ყუთში, რომლის ძირზე სველი თივა ეყარა, ფრთხილად
ჩაუშვეს. ზევიდან და გვერდზე კვლავ თივა დააყარეს. გურამმა სახურა-
ვის დაჭედვამდე ერთხელ კიდეც გადაიკითხა მის მიერ ლამაზად დაწე-
რილი ბარათი:

„ჩვენ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — კოლხეთის
სოფლის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პიონერები, გიგზავნით ამ მცირე
საჩუქარს და ჩვენი აგრონომის რჩევა-დარიგებას. გვჯერა უკრაინის
კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ პიონერები ლამაზ ბაღს გააშე-
ნებთ, რითაც ჩვენ, ნორჩი მიხურინელები და პიონერ-მოსწავლეები, უფ-
რო დაუუახლოვდებით ერთმანეთს“.

აქ გურამმა კითხვა შეწყვიტა და მეგობრებს მიუბრუნდა:

— იცით, როგორ გაუხარდებათ? აი, ნახავთ! — თქვა მან და კითხვა
განაგრძო. შემდეგ მანდარინებით სავსე მეორე ყუთიც იქვე დადო, ყუ-
თებს ტილო ჩამოაცვა და ზედ ქიმიური ფანქრით მისამართი დააწერა.

გავიდა ხანი. ერთ დღეს გურამმა ბარათი მიიღო. მიხვდა, საიდანაც
იყო, კონვერტი გახსნა, ბარათს გადახედა და თვალები გაუბრწყინდა.
კბე სწრაფად ჩაირბინა და ეზოდან გავარდა.

— პასუხი, პასუხი! — ყვიროდა იგი და მირბოდა.

ვახტანგის ჭიმქართან ტოლ-მეგობრებმა მოიყარეს თავი. გურამმა
გაშალა ბარათი და წაიკითხა: „ძვირფასო საქართველოს პიონერებო,
მივიღეთ თქვენი საჩუქარი, რაზედაც დიდი მადლობელი ვართ“.

გურამი ხანდახან ჩერდებოდა და ამხანაგებს უხსნიდა.

„ჩვენ, — განაგრძო გურამმა, — გადავწყვიტეთ თქვენი საჩუქრით
სკოლის ნაკვეთზე გავაშენოთ ლამაზი ბაღნარი და ვუწოდოთ მას „ოქროს
ბაღი“. პირობას გაძლევთ, კარგად შევისწავლით ციტრუსების მოვლას.
დიდი მადლობა თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თქვენს აგრო-
ნომსა და ძია მახარეს. იყავით კარგად.“

თქვენი უკრაინელი მეგობრები“.

გურამმა წერილი დაკეცა და ამხანაგებს ანიშნა, მომყევითო.

გახარებული ბავშვები ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარისაკენ
გარბოდნენ.

კითხვები: სად მიდიოდნენ უკრაინელი პიონერები? ვის შეხე-
